საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №181/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 26 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 02 ნოემბრის დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2015 წლის 23 ივლისს მოსამართლე -- -- მიიღო მისი სააპელაციო საჩივარი წარმოებაში (გასაჩივრებულია -- -- სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება). იმავე განჩინებით მოსამართლემ საქმის განხილვის 2 თვიანი ვადა გააგრძელა 5 თვემდე. მოპასუხეს, -- -- სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნა 2015 წლის 07 აგვისტოს. მოპასუხე ვალდებული იყო სასამართლოში წარედგინა სააპელაციო შესაგებელი 14 დღის ვადაში. როგორც ცნობილია, თუ მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს, სასამართლო ვალდებულია მიიღოს საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. თუმცა, ამის ნაცვლად, მოსამართლემ მიიღო მოპასუხის შესაგებელი, რომელიც წარდგენილი იყო საპროცესო ვადის დარღვევით (-- -- შესაგებელი სასამართლოს წარუდგინა სასამართლო გზავნილის გაგზავნიდან 3 თვისა და 2 დღის შემდეგ). გარდა ამისა, გზავნილის ჩაბარების დოკუმენტზე ხელმოწერა არის გაყალბებული, რეალურად -- -- დოკუმენტები ჩაბარდა არა სახლში, არამედ სასამართლოში და 2016 წლის 24 მარტის განჩინებით საქმეზე ჩაინიშნა მთავარი სხდომა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მოსამართლე -- -- არის არაობიექტური და არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

გარდა ამისა, -- -- განცხადებით მოსამართლე -- -- გააჭიანურა საქმის განხილვა. მართალია, 2017 წლის 11 სექტემბერს -- -- გავიდა -- შვებულებაში და საქმე განსახილველად სხვა მოსამართლეს გადაეცა, თუმცა, -- -- საქმეს განიხილავდა 26 თვის მანძილზე (2015 წლის 23 ივლისიდან 2017 წლის 11 სექტემბრამდე), რაც ქმნის საქმის გაჭიანურების შემადგენლობას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით (მოსამართლე - -- --) მოსარჩელეს, -- -- უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე (სარჩელი ეხებოდა სახელშეკრულები ურთიერთობის დარღვევის შედეგად წარმოშობილ დავას).

2.2. 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება -- -- მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებულ იქნა 2015 წლის 30 ივნისს (საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --). 2015 წლის 23 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. იმავე განჩინებით, საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

მოპასუხეს, -- -- და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირს, -- -- სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნათ 2015 წლის 10 აგვისტოს.

-- -- დოკუმენტები ჩაბარდა 2015 წლის 11 აგვისტოს, ხოლო 2015 წლის 20 აგვისტოს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და აცნობა მისი ახალი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. -- -- სააპელაციო საჩივარი ჩაბარდა 2015 წლის 26 ოქტომბერს.

2015 წლის 26 ოქტომბერს მოპასუხემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა ჩაბარებოდა პირველი ინსტანციის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების ასლი. -- -- სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების ასლი მხარეს ჩაბარდა 2015 წლის 02 ნოემბერს.

2015 წლის 09 ნოემბერს -- სააპელაციო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივარს.

2016 წლის 24 მარტის განჩინებით საქმეზე მთავარი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 16 ივნისს. სასამართლოს არასრული შემადგენლობის გამო 2016 წლის 16 ივნისს დანიშნული სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

2017 წლის 31 იანვარს მხარეებს ეცნობათ, რომ საქმის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 09 მარტს. მოსამართლის შვებულებაში ყოფნის გამო სასამართლოს ეს სხდომაც გადაიდო სხვა დროისათვის.

2017 წლის 14 ივნისს მხარეებს ეცნობათ, რომ საქმის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 20 ივლისს. 2017 წლის 20 ივლისს -- -- რამოდენიმე შუამდგომლობით მიმართა მოსამართლე -- -- და ითხოვა, დანიშნულ სხდომაზე მოწმის დაკითხვა და წარმოდგენილი დოკუმენტების საქმეზე მტკიცებულებად დართვა. 2017 წლის 20 ივლისს საქმეზე ჩატარდა სხდომა, განხილულ იქნა წარმოდგენილი შუამდგომლობები და საქმის განხილვა გადაიდო სხვა დროისათვის.

2017 წლის 11 სექტემბერს -- -- განცხადებით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარეს და -- შვებულებაში გასვლის გამო, ითხოვა მის წარმოებაში არსებულ საქმეებზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა (ჩამონათვალში ასევე იყო წინამდებარე საქმე). 2017 წლის 19 სექტემბრიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. დასკვნის შედგენის დროისათვის აღნიშნული საქმის -- სააპელაციო სასამართლოში განხილვა დასრულებული არაა.

2.3. 2015 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ჰქონდა 144 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 45 საქმის განხილვა (31.3%). 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ჰქონდა 226 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 95 საქმის განხილვა (42.0%). 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ჰქონდა 127 საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 92 საქმის განხილვა (72.4%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 02 ნოემბრის დასკვნა:

3.1. -- -- 2018 წლის 26 ივნისის -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

3.2. -- -- 2018 წლის 26 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 - მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა."

მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთ უზრუნველყოფილი უფლებების განხორციელების კუთხით საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამოქალაქო საქმის განხილვის ვადებს მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ამას ადასტურებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა - „ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც. დრო სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასდევს მთლიანად უფლებით სარგებლობის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში, ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა თავიდანვე გარკვეული დროით არის პირობადებული – ამა თუ იმ უფლების, ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დარღვევიდან გარკვეული ვადით არის შეზღუდული (მაგალითად, საარჩევნო უფლების დაცვისას). ასევე კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტების გამოყენებას, როგორებიცაა – სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც განსაზღვრავს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს და მათ შორის ვადებს, რომლის განმავლობაშიც მხარემ უნდა შეასრულოს მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ მოქმედების მოგვიანებით შესრულების უფლებას."

იმისათვის, რომ წინასწარი მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები სათანადოდ შეფასდეს და დადგინდეს, რამდენად შეიცავს მოსამართლის ქმედება შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, რა შემთხვევაში ჩაითვლება მოსამართლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა „არასაპატიოდ". ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საერთო სასამართლოების

შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მეორე წინადადება, სადაც კანონმდებელი პირდაპირ ადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ობიექტურ გარემოებებს. ამ ნორმის თანახმად, „...ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო.“ სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსამართლის ბრალეულ ქმედებას მოჰყვა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა და ამ დარღვევამ არსებითად შელახა მხარეების კონსტიტუციური უფლებები, მიჩნეულ შეიძლება იქნას, რომ სახეზეა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. დისციპლინური გადაცდომის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმას, თუ რამდენად დააზიანა მოსამართლის ქმედებამ სასამართლოს ან/და საჯარო ინტერესები და რამდენად შეეზღუდა მხარეს ზემდგომი ინსტანციისათვის მიმართვის შესაძლებლობა.

როდესაც საჩივარი ეხება საქმის განხილვის ვადის დარღვევას, აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, §50; Bock v. Germany, §35).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები დარღვეული „არასაპატიოდ“ („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებული ობიექტური გარემოებების ჭრილში) უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577).

მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- საქმე განსახილველად გადაეცა 2015 წლის 13 ივლისს. -- შვებულებაში გასვლის გამო, საქმე სხვა მოსამართლეს -- -- გადაეცა 2017 წლის 19 სექტემბერს. მოსამართლე -- -- საქმეს განიხილავდა 2 წლის და 2 თვის მანძილზე. ამ პერიოდის განმავლობაში მოსამართლემ რამოდენიმეჯერ დანიშნა სასამართლო სხდომა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზით გადადო საქმის განხილვა და საბოლოოდ, საქმეზე ჩაატარა მხოლოდ ერთი სასამართლო სხდომა.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

ხსენებული ნორმის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების არაჯეროვნად, მიკერძოებულად განხორციელება შეიძლება განპირობებული იყოს სამი ძირითადი ფაქტორით. ესენია, საქმის განხილვის საბოლოო შედეგთან ან კონკრეტულ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული მოსამართლის პირადი ინტერესი, მოსამართლის პოლიტიკური შეხედულებები ან/და სოციალური ზეგავლენა, რაც კონკრეტული საქმის გადაწყვეტის პროცესში მოსამართლის მიერ საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი ქმედების განხორციელებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მხრიდან საქმისადმი პირადი ინტერესეს შემთხვევაში, ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გადაცდომად, შეიძლება იყოს როგორც მოსამართლის მიკერძოებული დამოკიდებულება საქმის ერთ-ერთი მხარის მიმართ, ისე ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება ან მოსამართლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. ხსენებული ნორმის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, ყველას აქვს უფლება მისი საქმე განხილულ იქნას „დამოუკიდებელი

და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ ცხადია, მოსამართლის პირადი დაინტერესება საქმის განხილვის მიმართ, გამორიცხავს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას და ამდენად, მოსამართლის პირადი ინტერესის შეფასებისას, მის მიერ კონკრეტული მხარის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების დადასტურება კონვენციის ხსენებული მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად უნდა შეფასდეს.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაში (აბზ. 20) მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც სუბიექტური მიდგომების და ობიექტური კრიტერიუმების ერთობლიობა. მიუკერძოებლობა გაგებული უნდა იყოს „... სუბიექტური მიდგომების გათვალისწინებით, რომელშიც მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით...“

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნის 23-ე აბზაცის თანახმად, „მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე,... მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი რაიმე სახის განსხვავების გარეშე...“. მოსამართლეებმა იმგვარად უნდა განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილება, რომ „... მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.“ ხსენებული დასკვნის 21-ე აბზაცის მიხედვით, „მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის, „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“-ს მეორე მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამ თვალსაზრისით, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, „მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ კითხვებზე...“ იგივე მუხლი განსაზღვრავს, რომ შესაგებელის სასამართლოსთვის წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის დავების შემთხვევაში, 21 დღეს (განსახილველ შემთხვევაში მოსამართლის მიერ დადგენილ იქნაშესაგებელის წარდგენის 14 დღიანი ვადა).

იმავე კოდექსის 232^1 მუხლის თანახმად, თუ მოპასუხე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს შესაგებელს, მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

საქმის მასალებით დადასტურდა, რომ მოპასუხეს სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნა 2015 წლის 10 აგვისტოს. -- -- სასამართლო გზავნილი ჩაბარდა 2015 წლის 26 ოქტომბერს. შესაგებელი სასამართლოში შეტანილ იქნა 2015 წლის 09 ნოემბერს, მოპასუხის მიერ სასამართლო გზავნილის მიღებიდან მე-14 დღეს. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, შესაგებელის სასამართლოში წარდგენის ვადის დინება იწყება სასამართლო გზავნილის მოპასუხის მიერ მიღების და არა სასამართლოს მიერ გზავნილის

გაგზავნის დღიდან. მოცემულ შემთხვევაში, -- -- შესაგებელი წარმოადგინა მის მიერ სააპელაციო საჩივარის მიღებიდან მე-14 დღეს, კანონის ნორმათა მოთხოვნის სრული დაცვით.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოში მოპასუხის მიერ შესაგებელის წარუდგენლობის საკითხზე ნამსჯელი აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ „... აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობას არ მოჰყვება პირველ ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები - ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ ტიპის შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედებს პრეზუმფცია, რომელიც ეხება ფაქტს, მტკიცების წესს და არა სამართალს.“ ამდენად, თუ დავუშვებთ იმას (რასაც რეალურად ადგილი არ ჰქონია), რომ მოპასუხის მიერ დარღვეული იყო სააპელაციო სასამართლოში შესაგებელის წარდგენის ვადა, ამ შემთხვევაშიც კი მოსამართლე -- -- მიერ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიუღებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოყვანილი არგუმენტები და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტი, „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ - სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 07 ხმით; „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა.“ ქვეპუნქტი, „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“ - სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №181/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი